ოქმი:**ო63. 63243622**
თარიღი:**27/12/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულო

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა , შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა,ინფრასტრუქტურის საკითხთა,იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის საპროცედურო და სამანდატო საკითხთა და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა გაერთიანებული

კომისიის სხდომა

ო ქ მ ი N18

ქ. სამტრედია 17 დეკემბერი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 17 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, ინფრასტრუქტურის საკითხთა, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის საპროცედურო და სამანდატო საკითხთა და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის გაერთიანებული სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მერაბ უღრელიძე, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მახანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, როლანდ ეცადეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ტარიელ დვალიშვილი, ტარიელ ცომაია, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი,გრიგოლ ჩიგოგიძე, დავით ჯანელიძე, ზაზა ადეიშვილი, გიორგი ლეჟავა, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ლაშა გრიგოლია.

მოწვეული სტუმრები:

1.,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი ლევან ახობაძე.

2.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ერ. მანჯგალაძის სახ. კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ვეფხია ნადირაძე. ბუღალტერი- ენძელა პატარიძე.

3.**,,**არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის საფრენბურთო კლუბი ,,ჯიკო"-ს ოფისის მენეჯერი- იაკობ მანჯგალაძე.

4.**,,**არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი"-ს “-ს დირექტორი ვეფხია სტურუა.

5.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი“-ს დირექტორი პავლე კაპანაძე.

6..,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია"-ს დირექტორი -გიორგი ხელისუფალი.

7.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა“-ს დირექტორი ივანე კილტავა.

8.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის რაგბის გუნდი ,,ფენიქსი“-ს დირექტორი- გურამ ხუჭუა.

9.შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი- სამტრედია"-ს ხელმძღვანელი ალექსანდრე სტურუა. ბუღალტერი- ნონა ქორიძე.

10.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი"-ს ბუღალტერი ნათია ასლანიშვილი.

11.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის თანადგომა"-ს ბუღალტერი ნანული კიკაბიძე.

12.მუნიციპალიტეტის მერიის (საჯარო დაწესებულების) პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დავით ბაღდავაძე.

13. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში ნათელა ხაბეიშვილი.

14. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვის, ფორმირების და საფინანსო წედამხედველობის საკითხებში მაკა სეხნიაშვილი.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა,ინფრასტრუქტურის საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა და იურიდიულ, ადამიანის, უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (20) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა,ინფრასტრუქტურის საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა და იურიდიულ, ადამიანის, უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (20) ხმით დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი

1.ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება “-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

2. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანება და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

3. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობისN1 სახელოვნებო სკოლის“ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

4. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლი“-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

5. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლი “-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

6. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის“სამუსიკო სკოლი-ს“ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

7. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაში“-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

8. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების“ სამუსიკო სკოლი-ს“ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

9. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბაღები და ბაგა-ბაღები “-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

10. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის“ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

11. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება “-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

12. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლა-გალერეა“-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

13. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი“-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

14. შ.პ.ს. სამტრედიის მაცნე“-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

15. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვა“-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

16.სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2025 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

17.**,,**არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის

მუნიციპალიტეტის ერ. მანჯგალაძის სახ. კულტურის ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

18.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საფრენბურთო კლუბი ,,ჯიკო"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

19.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

20.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

21,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

22.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

23.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის რაგბის კლუბი ,,ფენიქსი"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

24.,,შ.პ.ს. ,,სპორტული კლუბი-სამტრედია"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

25.არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახლი თანადგომა"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

26.არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

27.სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.“

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის საპროცედურო და სამანდატო

საკითხთა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიების წევრთა (23) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა წევრთა (23) ხმით დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის ა.(ა)ი.პ.-ებისა და შ.პ.ს.-ების 2025 წლის ბიუჯეტის პროექტიის მეორე წარდგენა.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 2500,00 ლარს. მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენს 112. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 138 000 ლარით. ხარჯები 2 448,00 ათ.ლარი. შრომის ანაზღაურება 1 309,40 ლარი. საქონელი და მომსახურება 1 138,60 ლარი. სოციალური უზრუნველყოფა 15,00 ათ. ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდა 37,00 ათ.ლარი. ძირითადი აქტივები 37,00 ათ. ლარი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანება და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 788.70 ლარს. საკუთარი შემოსავალი 15,00 ათ. ლარი სულ 803,70 ათ. ლარი. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 71,702 ათ. ლარით. ხარჯები 781.10ათ ლარი. შრომის ანაზღაურება 406.60 ლარი. საქონელი და მომსახურება 372.10 ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდა 22.60 ლარი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა“-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 217 ლარს, მშობელთა შემონატანი - 14.3 ათ. ლარი, სულ 231.3 ათ. ლარი. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 6,900 ლარით. შრომის ანაზღაურება 196.3 ათ.

აზრი გამოთქვა: მერაბ უღრელიძემ.

მერაბ უღრელიძე - მოგეხენებათ, რომ საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის მიერ წარდგენილ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნა ა.(ა)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების, ბავშვების (არაუმეტეს 65 000 ქულისა) დაფინანსებულ იქნა სწავლის საფასური.

ა.(ა)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლებში, სოციაურად დაუცველი ოჯახების, ბავშვების(არაუმეტეს 65 000 ქულისა) სწავლის საფასურის დაფინანსების საკითხის შესწავლისას სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ

იხელმძღვანელა სოციალური დახმარების სესახებ საქართველოს მთავრობის N145 დადგენილების მე-6 მუხლით გათალისწინებული მაქსიმალური სარეიტინგო ქულით და შესაბამისად სწავლის საფასური დაფინანსდეს 0-დან 120001- მდე სარეიტინგო ქულის ფარგლებში.

კომისიის წევრებმა მოიწონეს ზემოაღნიშნული წინადადება და ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 109.00 ათ. ლარს. საკუთარი შემოსავლები - 10,40 ლარს. სულ 119,40 ათ. ლარი. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 14.60 ათ. ლარით. საქონელი და მომსახურება 18.20 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის" 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 105,00 ათ. ლარს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება შეადგენს - 7 300 ლარს, სულ 112.3 ათ. ლარი. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 960 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 95,00 ათ. ლარს, საკუთარი შემოსავლები - 4,50 ათ. ლარს. სულ 99, 50 ათ.ლარი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო .ა(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 88,80 ათ. ლარს, საკუთარი შემოსავლები 4100 ლარი. ჯამში - 92,90 ათ. ლარი. გასულ წელთან

შედარებით ბიუჯეტი გაიზარდა 5,50 ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 73,50 ათ. ლარს, მშობელთა შემონატანი 3,0 ათ. ლარს. სულ ჯამი 76. 50 ათ. ლარი. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაიზარდa 6,0 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 4480,0 ათ. მომუშავეთა რიცხოვნობა 325. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაიზარდა 440 700 ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა)ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობა"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 330. 000 ლარს. საკუთარის შემოსავლები 16.00 ათ. ლარი. სხვადასხვა წრეებიდან შემონატანი 16.00 ათ. ლარი. სულ: 346. 00. ათ. ლარი. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაიზარდა 30 000 ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წვრებს გააცნო ა.(ა)ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთკო გაერთიანება"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 135,0 ათ. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 5 100 ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა“-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 97.6 ათ. ლარს. სულ შემოსავალი 97.6 ათ. ლარი. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 8,10 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ა(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 63.5 ათ.ლარს. საკუთარი შემოსავლები 1.0 ათ. ლარი. სულ 66,5 ათ. ლარი. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 5,5 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 117,1 ათ. ლარს. საკუთარი შემოსავლები 4,0 ათ.ლარს. სულ 1211 ათ. ლარი. შრომის ანაზღაურება 98,80 ათ.ლარი. საქონელი და მომსახურება 21,80 ათ. ლარი. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 8 700 ლარით.

კომისიის წევრები დაეთანხმა ზემოაღნიშნულ საკითხს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია დელეგირებული ტრანსფერი შეადგენს 269.50 ათ. ლარს. სულ სუბსიდია 269.50 ათ. ლარი. საკუთარი შემოსავლები 14,60 ათ. ლარი. ჯამი 284,10 ათ. ლარი. წინა წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 38,7 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23

(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XVI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2025 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის და სოციალური დახმარების გაცემის წესის პროექტი.

ეს წესი განსაზღვრავს სამტრედიის მუნიციპალიტეტში (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) რეგისტრირებული მოსახლეობისათვის (სამტრედიის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრებ), აგრეთვე სამტრედიის მუნიციპალიტეტში დროებით რეგისტრირებულ დევნილი მოსახლეობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პირობებს, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახეებსა და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას.

მუხლი 1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება;

1.მოქალაქეთა სამედიცინო დაფინანსება - მოქალაქე, რომელიც დაავადებულია გულსისხლძარღვთა დაავადებით, ონკოლოგიური დაავადებით, გინეკოლოგიური დაავადებით და ასევე სხვა სიცოცხლისათვის საშიში დაავადებით და საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას, ქიმიოთერაპია, კოქსართროზი, გონართროზი, ანევრიზმა, თრომბოფლებიტი და ასევე სხვა დაავადებების ქირულგიული და კონსერვატიული მკურნალობა , სამკურნალო სარეაბილიტაციო პროცედურები, ქცევითი თერაპიები და სხვა

ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმპ და ომის ვეტერანები, ონკოლოგიური პაციენტები, 1.00 დან-500 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 100 %, 500-1000 ლარის ჩათვლით 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით;

ბ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 100000 დან 200000 ის ჩათვლით 1.00 დან 1000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 90 %, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით;

გ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 200000 ის ზევით ან არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში 100 დან 1000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 80 %, არაუმეტეს 500 ლარის, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით;

2. მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის დაფინანსება - მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევებს, დიაგნოსტიკას, კომპიუტერულ კვლევას, მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევას, PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია) კვლევას.

ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმპ და ომის ვეტერანები, ონკოლოგიური პაციენტები 1.00 დან -800 ლარის ჩათვლით მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ 400 ლარით.

ბ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 100000 დან 200000 ის ჩათვლით 1.00 დან 800 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 90 %, მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ 400 ლარით.

გ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 200000-ის ზევით ან არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების

სააგენტოს მონაცემთა ბაზაში 100 დან 800 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 80 %, მაქსიმუმ 300 ლარით 800 ლარის ზემოთ 400 ლარით.

დ) PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია)-კვლევა დაფინანსდება 600 ლარით;

მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე, (განმცხადებელი: მოსარგებლე ან მისი შვილი, მშობელი, მეუღლე);

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) დახმარების მიმღების (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფ N100);

ე) ანგარიშ ფაქტურა, კალკულაცია და ფორმა 100 სამედიცინო დაწესებულებიდან.

ვ) სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ამონაწერი;

3.ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე.

მუხლი 2 .მარტოხელა მშობლების დახმარება;

1. ერთჯერად დახმარებას მიიღებენ მარტოხელა მშობლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სამოქალაქო რეესტრში. ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში მიიღებენ 150 ლარიან დახმარებას, ორი შვილის შემთხვევაში 200 ლარიან დახმარებას, სამი და მეტი შვილის შემთხვევაში 300 ლარიან დახმარებას (შვილის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 18 წელს).

2. მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) მარტოხელა მშობლის განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის ასლი.

გ) შვილების დაბადების მოწმობის ასლები;

დ) ცნობა მარტოხელა მშობლის შესახებ;

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი 3. სტუდენტების დახმარება.

1. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს 1000 (ათასი) ლარით გაეწევათ დახმარება ერთჯერადად;
ა) დედ-მამით ობოლი ოჯახებიდან.

ბ)მრავალშვილიანი (4 და მეტიშვილიანი) ოჯახებიდან;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 65

000- ჩათ. სარეიტინგო ქულა.

2. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომელთაც აქვთ იშვიათი (საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 199/ნ 2001 წლის 14 მაისი, იშვიათი დაავადებების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ) დაავადებები და სისტემატურად საჭიროებენ მკურნალობას, ასევე „ავთვისებიანი სიმსივნეები რომლებიც ვლინდება ახალგაზრდა ასაკში“ და ხანგრძლივად საჭიროებენ ექიმის მეთვალყურეობას, ყოველთვიურად გაეწევათ 400 ლარიანი დახმარება;

ა) დედ-მამით ობოლი ოჯახებიდან.

ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტიშვილიანი) სოციალურად დაუცველ ოჯახებიდან;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 65 000- ჩათ. სარეიტინგო ქულა.

დ) მარტოხელა მშობლების შვილები.

3. სტუდენტებმა მერიაში უნდა
წარმოადგინონ:

ა) ცნობა უმაღლესი
სასწავლებლიდან სწავლის
შესახებ;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) მეორე პუნქტის შემთხვევაში
სამედიცინო ცნობა ფორმა 100;

დ) ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტების და მეორე პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ და მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში სოციალური მომსახურების სააგენტოდან, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ამონაწერი;

4.ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე

მუხლი 4. დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარება

მოსარგებლე 18 წლამდე ბავშვები, რომლებსაც გარდაეცვალა მშობლები, ან ბავშვები, რომელთა მშობლების ადგილსამყოფელი უცნობია და ზრდის მეურვე ან მზრუნველი:

1. უდედმამო ბავშვებზე 0-დან 18 წლის ჩათვლით დახმარება გაიცემა ყოველთვიურად, ყოველ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით.

2. უდედმამო 0-დან 18 წლის ჩათვლით ბავშვის მეურვემ/მზრუნველმა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს განყოფილებიდან ბავშვის მეურვის ვინაობის შესახებ;

დ) ბავშვის ან/და ბავშვების პირადობის და დაბადების მოწმობების ასლები;

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში.

4. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე .

მუხლი 5. ახალშობილთა დახმარება;

1. ერთჯერად (თითო ბავშვზე) 200 (ორასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ პირველი შვილი.
2. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-2 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

3. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-3 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

4. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-4 და მეტი შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

5. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ ტყუპები დაფინანსებას მიიღებენ თითოეულ შვილზე: პირველი და მეორე შვილის შეძენის შემთხვევაში 300-300 ლარს, მეორე და მესამე 400-400 ლარი, მესამე და მეოთხე შვილის და მეტის შემთხვევაში 500-500 ლარს.

6 დახმარების მისაღებად მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) მშობლების პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შვილების დაბადების მოწმობების
ასლები;

დ) ქორწინების მოწმობის ასლი.

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში.

ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, განმცხადებლის მიერ ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

ვ) 6 პუნქტის შემთხვევაში დამატებით უნდა წარმოადგინოს ახალდაქორწინებული წყვილის ქორწინების მოწმობა, ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან

7.ახალშობილთა ერთჯერადი დახმარება გაიცემა, თუ ახალშობილი დაიბადა 2024 წლის 1 სექტემბრის შემდეგ და დახმარება არ აქვს აღებული;

მუხლი 6. ასი წლის და მეტი ასაკის უხუცეს დღეგრძელთა დახმარება;

1. ერთჯერად, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დაფინანსებას მიიღებენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული

მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი.

2. დახმარების მისაღებად მოქალაქემ (ოჯახის წევრმა მეუღლემ, შვილმა, შვილიშვილმა) უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) ოჯახის წევრის (მეუღლე, შვილის, შვილიშვილის) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი 7. სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრიებული სახლდაზიანებული და უსახკარო მოქალაქეებიის დახმარების პროგრამა

სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის მიზნით, სახელმწიფო ახორციელებს პროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით. სოციალური ასპექტების გათვალისწინებით პროგრამების ძირითადი განმახორციელებელია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის, ხშირ შემთხვევაში,შემოსავლის ერთადერთი წყარო სოციალური სუბსიდიაა, რომელიც მხოლოდ აუცილებელ მოთხოვნილებებს უკმაყოფილებს. რაც შეეხება სიძველისაგან ამორტიზირებული სახლების მოვლა-პატრონობასა და გამაგრებას, მათი შემოსავლები მეტად მწირია რომ ასეთი სამუშაოები ჩაატარონ.ზოგ შემთხვევაში ასეთი ამორტიზირებული სახლები ინგრევა და ოჯახი თავშესაფრის გარეშე რჩება. შესაძლებელია ამორტიზირებული სახლის ნგრევის პროცესს მოჰყვეს რომელიმე პირის ჯანმრთელობის დაზიანება ან შეეწიროს სიცოცხლე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ ძიიღო გადაწყვეტილება ჩაერთოს უკიდურესად მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, რომელთა საცხოვრებელი სახლები ამორტიზირებულია და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, არ ექვემდებარება აღდგენას/რეაბილიტაციას და მასში ცხოვრება მოსახლეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია, ან საერთოდ არ გააჩნია საცხოვრებელი ფართი, საცხოვრებელი პირობების მოგვარებაში, რათა ოჯახებს მიეცეს პრობლემის შემსუბუქების და სოციალური ფუნქციონირების ამაღლების პერსპექტივა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ იქნა ქვეპროგრამა „მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა“.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზემოაღნიშნული მოწყვლადი ოჯახებისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული პროექტის, დებულების და შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით.

ე.წ. „მცირეფართიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტის“ ფარგლებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით.

მუხლი 8. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება;

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 300 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ შემდეგი კატეგორიის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახები და ომის მონაწილეები.

ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შშმ პირები;

ბ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახები;

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 200 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები, მარჩენალ დაკარგულები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული, სხვა ომის მონაწილეები, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 200000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.

3. მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტებია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ)პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ომის ვეტერანის და შშმპ სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

დ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „2 „ პუნქტის შემთხვევაში სოციალური მომსახურების სააგენტოდან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ამონაწერი.

მუხლი 9. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება;

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება: ა) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება.

ბ)მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

გ), მრავალშვილიანი სოციალურად დაუვცელი უკიდურესად შეჭირვებული ოჯახიდან გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურება.

2. მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) დაკრძალვის ხარჯის მიმღები(მეუღლე, შვილი, მშობელი) პირის განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი;

ე) ინფორმაცია მერის წარმომადგენლისაგან გარდაცვლილის უპატრონობის შესახებ;

ვ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში.

3. თანხა გაიცემა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

4. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი 10. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო თანხა

1.ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, სხვა ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯი 250 ლარის ოდენობით.

2.მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) დაკრძალვის ხარჯის მიმღები პირისგან განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) გარდაცვლილი ომის მონაწილის მოწმობის ასლი;

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში.

3.ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარისწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი 11. ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა და გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ფინანსური დახმარება;

1.ითვალისწინებს ჩერნობილის მონაწილეთა და გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 300 ლარის ოდენობით, 26 აპრილს.

2. მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტებია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ).პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ჩერნობილის მონაწილის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში.

3.ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი 12. დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება;

ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარებას, თითოეულისათვის 200 ლარის ოდენობით ყოველთვიურად ;

2. მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე (განმცხადებელი: მოსარგებლე ან მისი შვილი, მშობელი, მეუღლე).

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ექიმის მიერ გაცემული ფორმა 100;

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში.

3.ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი 13. ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით , დიაბეტით დაავადებულ და დაუნის სინდრომის ბავშვთა ფინანსური დახმარება.

1.ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით;

2. ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით;

3. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით.

4. დიაბეტით დაავადებულ ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით.

5. ნივთიერებათა ცვლის მოშლით მიმდინარე დაავადებები, ჰიპერალანინემია და სხვა იშვიათი(საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 199/ნ 2001 წლის 14 მაისი, იშვიათი დაავადებების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ) (18 წლამდე) დაავადებების ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს აღნიშნული დაავადებით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

6. მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის (მშობლების, მეურვის) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლი ან პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ექიმის მიერ გაცემული ფორმა 100;

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში.

6.ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი 14. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;

1. ითვალისწინებს მრავალშვილიან ოჯახების დახმარებას ყოველთვიურად

თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილისათვის).

2. დახმარების მისაღებად მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) მშობლების პირადობის მოწმობის ასლი; განსაკუთრებულ შემთხვევაში ოჯახის წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შვილების დაბადების მოწმობების ან პირადობის მოწმობების ასლები; დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი 15. 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება;

1.ითვალისწინებს 2008 წელს გარდაცვლილ მეომართა ოჯახის წევრების ერთჯერადად დაფინანსებას 1000 ლარით;

2. მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) დაკრძალვის ხარჯის მიმღები (მეუღლე, შვილი, მშობელი) პირის განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) გარდაცვლილი ომის ვეტერანის მოწმობის ასლი;

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში.

3.ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი 16. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება;

1. ყოველთვიური ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მხედველობა და სმენა დაქვეითებულ მოქალაქეებს 50-50 ლარის ოდენობით;
2. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს: ეპილეფსია, გონებრივი ჩამორჩენილობა (დაუზუსტებელი), მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც დაავადებულია ცეროზით-150 ლარის ოდენობით.
3. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ასევე ფსიქონერვული და შიზოფრენიით დაავადებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, 100 ლარის ოდენობით;

4.ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე ბავშვებს 18 წლამდე 200 ლარის ოდენობით;

5.ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით და დაუნის სინდრომით დაავადებულ 18 წლის ზემოთ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;

6. ონკოლოგიური სენით (III და IV სტადია) დაავადებული მოქალაქეები ერთჯერადად დაფინანსდება 200 ლარით.
7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ოჯახის წევრმა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წარმომადგენელმა (მეურვემ/მზრუნველმა) მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის (ბენეფიციარი, მშობლის, მეურვის) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიში;

ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);

ვ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის პირადობის (დაბადების მოწმობის) ქსეროასლი.

8.ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად საბანკო ანგარიშზე.

9.თუ ბენეფიციარს დახმარების მიღების უფლება აქვს ამ მუხლის „1“, „2“, „3“, „4“, „5“ „6“ პუნქტით გათვალისწინებული ერთდროულად ერთზე მეტი საფუძვლით, დახმარება მიეცემა მხოლოდ ერთი საფუძვლით, მათ შორის მაქსიმალური თანხის უპირატესობით;

მუხლი 17. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში;

1. მოქალაქეები, რომლებიც არიან მარტოხელები, ფსიქიურად დაავადებულები, შეჭირვებულები, არასაპენსიო ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არიან შრომისუუნარონი მერიაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცეთ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ მოქალაქეებს კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე(ბინაზე) ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურება განესაზღვროთ მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით ერთჯერადი ფინანსური დახმარება 500-5000 ლარი.

ა) დაეწვათ, კაპიტალური საცხოვრებელი სახლი მთლიანად, საყოფაცხოვრებო ნივთებით -5 000 ლარი.

ბ) დაეწვა საცხოვრებელი სახლის პირველი და მეორე სართული - 4 000 ლარი.

გ) დაეწვა საცხოვრებელი სახლის ერთი სართული საყოფაცხოვრებო ნივთებით - 3 000 ლარი.

დ) დაეწვა საცხოვრებელი სახლის ერთი სართული საყოფაცხოვრებო ნივთების გარეშე -2000 ლარი.

ე) დაეწვა საცხოვრებელი სახლის ნაწილი (ერთი, ორი ოთახი) -1000 ლარი

ვ) დაეწვა საცხოვრებელი სახლის ნაწილი (ერთი, ორი ოთახი) საყოფაცხოვრებო ნივთებით-2000 ლარი

ზ) დაეწვა დამხმარე ნაგებობა სადაც ცხოვრობს დღის განმავლობაში -1000 ლარი.

თ) დაეწვა დამხმარე ნაგებობა სადაც არ ცხოვრობს - 500 ლარი.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მცხოვრები, ოჯახები, რომლებიც წარმოადგენენ რისკის ქვეშ (ენგრევათ საცხოვრებელი სახლი, საჭიროებენ გადაუდებელ მინიმალურ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას), უკიდურეს მძიმე მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, რომელთაც არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ ოჯახის სარჩენად, ასევე მოქალაქეებს, რომლებიც არიან ჯანმრთელობის მხრივ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, დახმარების ოდენობა განისაზღვროს მერიაში შექმნილი კომისიის მიერ. სიმძიმის მიხედვით 100-დან 1000 ლარის ჩათვლით:

ა) არის მარტოხელა, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი, შშმპ , შეჭირვებული-100 ლარი.

ბ) არის მარტოხელა, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი, არა აქვს საკუთარი სახლი და ცხოვრობენ სხვის ბინაში-150 ლარი.

გ) წარმოდენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100 -150 ლარი.

დ) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100, დაავადებულია რამოდენიმე ქრონიკული დაავადებით -200 ლარი.

ე) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100, აქვს უმძიმესი საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები-300 ლარი.

3) არის შშმ პირი, მრავლშვილიანი (3 და მეტი) ოჯახი, რომლებსაც არა აქვს საცხოვრებელი სახლი და ცხოვრობენ სხვის ბინაში -500 ლარი.

ზ) ესაჭიროება საზღვარგარეთ მკურნალობა- 1000 ლარი.

თ) ენგრევათ საცხოვრებელი სახლი, საჭიროებენ გადაუდებელ მინიმალურ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას - 500 ლარი. განსაკუთრებულ შემთხვევაში 1000 ლარი

4. აღნიშნული დახმარებების მისაღებად, ოჯახმა/მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები;

დ) ცნობა შესაბამისი ტერიტორიული ორგანოდან საჭიროების შემთხვევაში;

ე) ამ მუხლის „2“ პუნქტის შემთხვევაში ცნობა სახანძრო-სამაშველო სამსახურიდან;

ვ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან

ზ). ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ბანკში გახსნილ პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 18. სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება.

1.ერთჯერადი მატერიალური დახმარება 150 ლარის ოდენობით, გაეწევათ სოციალურად დაუცველი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს და ოჯახის წევრებს, რომელთა სარეინტიგო ქულა შეადგენს 0-200000 მდე.

2. მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ)სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ამონაწერი, რომელშიც მუდმივ საცხოვრებელად მითითებული იქნება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორია;

დ) სოციალურ მომსახურეობის სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, რომ პირი წარმოადგენს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლს და ოჯახის წევრს.

მუხლი 19. სოციალურად დაუცველი და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა.

განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით.

მუხლი 20. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შეაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა.

1. დღის ცენტრის კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსება სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შეაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. 2025 წლის განმავლობაში თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება კომუნალური ხარჯები (ელექტრო ენერგია, გაზი, წყალი) და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსება, ორგანიზაციის მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე თანხა ჩაირიცხება მათ ანგარიშზე. თანხა თვეში არაუმეტეს 1 050 ლარისა.

მუხლი 21. სამკერვალო საწარმო „გვირილა“-ში დასაქმებულ შშმ ქალების დახმარება ტრანსპორტირების კუთხით.

მუხლი 22. სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯები;

მუხლი 23. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმპ ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები;

მუხლი 24. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია.

1. აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს 2024 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით ქალაქ სამტრედიაში რეგისტრირებული და მცხოვრები 2-15 წლის ჩათვლით ბავშვების,რომელთა ძირითადი დიაგნოზია (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0-F84.9) ყოველთვიურ დახმარებას 300 ლარის ოდენობით;

2. მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა,პასპორტი,იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი;

ბ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში- აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ქალაქ სამტრედიაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საინფორმაციო ბარათი);

დ) მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა

(ფორმა №IV-100/ა),რომელიც გაცემული უნდა იყოს ცნობის პროგრამის განმახორციელებელთან წარდგენამდე არაუმეტეს 2 თვით ადრე და მასში მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისათვის აუცილებელი,სულ მცირე ADOS-2 აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგი, ADOS-2 ტესტირების შედეგი.

ე) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ბანკის ანგარიშის ამონაწერი.

მუხლი 25. მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება.

1. ბავშვთა მიმართ გამოვლენილი ძალადობა, რომლებიც მოქმედებს ბავშვის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე - 200 ლარი.

2. ქალთა და მამაკაცთა მიმართ გამოვლენილი ძალადობა. ოჯახის წევრებს შორის გამოვლენილი ძალადობა - 200 ლარი.

3. უკიდურესად სიღარიბეში ყოფნა. ოჯახის წევრების უუნარობა, საკვების, პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების უქონლობა. უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნა. ხანდაზმულობა (თანადგომის ქსელის არ ყოლა) - 200 ლარი.

4 . მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

5, ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარისწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე;

მუხლი 26. წითელი ჯვრის თანადაფინანსება (“საქმიანობათა ცენტრი სამტრედიაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის”**)**
(სუბსიდიის სახით) (57 000 ლარი).

- **კატასტროფების მართვა (რისკის შემცირება, მზადება და რეაგირება),** რაც გულისხმობს თემის მოწყვლადობისა და შესაძლებლობების შეფასებას, ცოდნის ამაღლებას კატასტროფების შესახებ თემში მათი შესაძლებლობების გაზრდისა და თემის ეფექტური რეაგირებისათვის საგანგებო/კრიზისული სიტუაციის დროს; რეაგირების გუნდების შექმნას (მათ შორის პირველი დახმარების და ფსიქოსოციალური დახმარების გუნდები), წვრთნას/სწავლებას, სიმულაციური ვარჯიშების მოწყობას და რეაგირების მექანიზმში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის გაუმჯობესებას; მუნიციპალიტეტების რეაგირებისა და ევაკუაციის გეგმების (მათ შორის საოჯახო გეგმის) შემუშავებაში/განახლებაში აქტიურ მონაწილეობას.
- **ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა,** რაც ითვალისწინებს მობილური პირველადი ჯანდაცვის კაბინეტების მეშვეობით უფასო სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევებსა (მუცლის ღრუსა და სხვა შინაგანი ორგანოების

ექოსკოპირება უახლესი აპარატურით, კარდიოლოგიური, გინეკოლოგიური და ოფთალმოლოგიური გამოკვლევა, სისხლში შაქრის შემცველობის დონის განსაზღვრა, ფარისებრი ჯირკვლის რადიოლოგიური კვლევა) და ექიმი-თერაპევტის, გინეკოლოგისა თუ ოფთალმოლოგის კონსულტაციას მოწყვლადი ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით ქალაქებიდან მოშორებით მდებარე დასახლებებსა და თემებში. ასევე სისხლის უანგარო, ნებაყოფლობითი დონაციის პროპაგანდის მეშვეობით სისხლის დონორების მობილიზებას და ქვეყანაში არსებული სისხლის მარაგის შევსებას, იმუნიზაციის გზით ქვეყნის მოსახლეობის ეფექტურ დაცვას მართვადი დაავადებებისაგან, საგანგებო სიტუაციებისთვის, მათ შორის პანდემიებისთვის მზადყოფნას, ეპიდემიური კონტროლის, წყლის ჰიგიენისა და სანიტარიის, მასობრივი საგანგებო სიტუაციებიის მართვის, პირველი დახმარებისა და ფსიქოლოგიური პირველი დახმარების შესახებ ცოდნის ამაღლების და პრაქტიკული უნარების განვითარების გზით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს თემის დონეზე საგანგებო მდგომარეობებზე რეაგირების გაუმჯობესებას;

- **სოციალური მხარდაჭერა,** რომლის ფარგლებში ,,ინტეგრირებულ საქმიანობათა დღის ცენტრის“ ბაზაზე არის შექმნილი სხვადასხვა საქმიანობათა ჯგუფები და ხორციელდება ბენეფიციართა უნარ-ჩვევების განვითარება (თემატური ტრენინგები, სემინარები, სასწავლო სესიები და ა.შ.), სერვისების მიწოდება (ბინაზე ვიზიტები, შინმოვლა, საოჯახო საქმეებში დახმარება, რეცხვა და ა.შ.) და ადვოკატირება (სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით, კონსულტაცია და ინფორმირება). ბენეფიციარებს შესაძლებლობა ეძლევათ ღირსეულ გარემოში დაგეგმონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ზემოაღნიშნული ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობაში, სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებაში, რაც ხელს უწყობს მათი ყოფის შემსუბუქებას, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და თაობათაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებას.
- **ახალგაზრდული და მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარება,** რომელიც მიზნად ისახავს მოხალისეობრივი ინსტიტუტის პოპულარიზებასა და გაძლიერებას, მოსახლეობის ჩართვას სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობებში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს თითოეული ინდივიდის პიროვნულ ზრდას (ტრენინგების/სემინარების/სასწავლო სესიების/ პრაქტიკული სავარჯიშოების და ა.შ. საშუალებით) სხვადასხვა მიმართულებით, მათში ჰუმანიტარული ღირებულებების ჩამოყალიბებას, სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, მათ მობილიზებას და აქტიურ მონაწილეობას მოწყვლადი ჯგუფების დახმარებაში, როგორც სასოფლო, ასევე საქალაქო თემებში. ახალგაზრდებს ეძლევათ არაფორმალური განათლების და სხვადასხვა ცხოვრებისული უნარ-ჩვევების განვითარების საშუალება, რაც ხელს უწყობს მათ თვითრეალიზებას და უშუალო მონაწილეობას თემის, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის გავნვითარებაში. ახალგაზრდებისთვის ასევე ხელმისაწვდომი ხდება ჩაერთონ თანასწორთა განათლების პროცესში და დაეხმაროონ თანატოლებს გახდენ უფრო მოტივირებულები, აქტიურები და გაიუმჯობესონ მათთვის საჭირო შესაბამისი უნარ-ჩვევები.

მუხლი 27. უდედმამო ბავშვებისთვის, სოციალურად დაუცველი: (შშმ პირებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალშვილიანებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის) და სხვა შეჭირვებული ოჯახებისთვის სააღდგომოდ და საახალწლოდ ერთჯერადი დახმარება;

უდედმამო ბავშვებისთვის, სოციალურად დაუცველი: (შშმ პირებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალშვილიანებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის) და სხვა შეჭირვებული ოჯახებისთვის სააღდგომოდ და საახალწლოდ მოხდება ერთჯერადად 300 ოჯახზე, 100-100 ლარის დარიცხვა ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე

მუხლი 28. ახალდაქორწინებული ოჯახების წახალისება.

1. პროგრამა ითვალისწინებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების მიერ ახლადშექმნილი ოჯახების ხელშეწყობასა და მხარდაჭერას. პროგრამით ისარგებლებს ახალდაქორწინებული წყვილი, რომელთაგან ერთ–ერთი მაინც ქორწინების რეგისტრაციისათვის ირიცხებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 120000–ს და შეეძინათ პირველი შვილი მიიღებენ ერთჯერადად 500 (ხუთას) ლარს;

2. მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტებია;

   ა) მშობლების პირადობის მოწმობა.

   ბ) ახალშობილის დაბადების მოწმობა;

   გ) ქორწინების მოწმობა;

   დ) საბანკო რეკვიზიტები;

   ე) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან.

მუხლი 29. ბავშვის უფლებების და მხარდაჭერის პროგრამა;

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახების მხარდაჭერა ამოცანები: ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში შემოსული განცხადებების განხილვა. ბავშვისა და ოჯახის შეფასება. ბავშვის/ ბავშვების საჭიროების დადგენა. გრძელვადიანი ან მოკლევადიანი გეგმის დაწერა, საჭიროების შემთხვევაში შემთხვევის გადამისამარება შესაბამის უწყებაში, დამხმარე სერვისებში პრობლემის აღმოფხვრისა და ოჯახის გაძლიერების მიზნით. ოჯახის წინაშე არსებული სირთულეების დაძლევაზე მუშაობა. სამიზნე ჯგუფი: ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახები, რომელთაც დაუდგათ მძიმე კრიზისული მდგომარეობა ან საჭიროებენ მხარდაჭერას დროის უმოკლეს პერიოდში, შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე. დახმარება გაიცემა მატერიალური, ფულადი ან/და ადამიანური რესურსების გამოყენებით. ჩართვის კრიტერიუმები: 1. სოციალურად დაუცველი ოჯახები 2. მშობლის /მშობლების /მეურვის/მარჩენალის გარდაცვალება. 3. ოჯახის შემოსავლის წყაროს დაკარგვა(მშობელმა/მშობლებმა დაკარგეს სამსახური). 4. ბავშვის /ბავშვების/ მშობლის/მშობლების ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება. 5. ოჯახს მოეხსნა სოციალური დახმარება და ოჯახი აღმოჩნდა ეკონომიკური კრიზისის წინაშე. 6. სტიქია (საცხოვრებლის დაკარგვა და არ აქვს ალტერნატიული ფართი). 7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი სოციალურად დაუცველის ოჯახიდან. 8. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არასრულწლოვანი სოციალურად დაუცველის ოჯახიდან. 9. ძალადობის მსხვერპლი მშობელი 10. მარტოხელა მშობელი.

მუხლი 30. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლო პირთათვის სპეციალური ტექნიკის შეძენა;

მუხლი 31. მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მცირეწლოვან ბავშვთა და მოქალაქეთა მკურნალობის დაფინანსება

1. პროგრამა ითვალისწინებს მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მცირეწლოვან ბავშვთა და მოქალაქეთა მკურნალობის დაფინანსებას საზღვარგარეთ. კერძოდ: ონკოლოგიური დაავადებები -ლიმფომა, გლიომა, ლეიკემია, ანევრიზმა, თავის ტვინის სიმსივნე, თავის ქალის პროგრესირებადი დეფორმაცია, ქვედა კიდურების ატროფია, თვალის დაავადებები, ავარიის შემდგომი რეაბილიტაცია, ინვიტრო განაყოფიერება. ბავშვთა სქორიოზი

გარკვეული თანხით დახმარება არა უმეტეს 10 000 ლარისა.

2. მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფ N100);

გ) განმცხადებლის პაციენტის საბანკო ანგარიში;

5, ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარისწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე;

მუხლი 32. სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა.

1. მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური (სემდგომში სამსახური).

2. სამსახური პასუხისმგებელია დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) განცხადებებისა და მათ მიერ წარმოდგენილ სრულყოფილ დოკუმენტაციაზე.

3. მე-17 მუხლის გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის შემთხვევაში სამსახური ამოწმებს მერიაში შემოსულ განცხადებებს თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. შემოწმების შემდგომ სრულყოფილი დოკუმენტაციისას, სამსახური მასალებს გადასცემს შემდგომი განხილვისათვის მერის ბრძანების საფუძველზე შექმნილ კომისიას.

4. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემატიურ შემოწმებას, რის საფუძველზეც შეაქვს შესაბამისი შესწორებები (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა) ბენეფიციართა საქმეში. ცვლილებებში იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება- კლება, ბავშვების სრულწლოვანების დადგენა და ა.შ.

მუხლი 33. კომისიის მიერ განცხადებების განხილვა.

1. კომისია იქმნება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, ამ წესის მე-17 მუხლით გათვალისწინებული დახმარების გაცემის განხილვის მიზნით, რომელიც შეიმუშავებს შესაბამის დასკვნებს. კომისიის თავმჯდომარე, კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მერის ბრძანებით.

2. კომისიის მუშაობა საჯაროა და მას შეიძლება დაესწროს ყველა დაინტერესებული პირი, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მუხლი 34. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება.

1. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს ამ განკარგულებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 35. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო

გადაწყვეტილების მიღება. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება მერის

ბრძანების საფუძველზე. ამ წესის მე-17 მუხლით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის შემთხვევაში კომისიის დასკვნისა და მერის ბრძანების საფუძველზე.

დანართი 2
2025 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის ღონისძიების ხარჯები

2025 წელი	(ათასი ლარი)
სოციალური პროგრამები	**2690.6**
დედეთა და ბავშთა დახმარება	**440,0**
ახალშობილთა დახმარება (მუხლი 5) (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 1 000 ლარი)	80,0
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება; (მუხლი 14)	360,0
სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო თანხა (მუხლი 10)	**6**
სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრიებული სახლდაზიანებული და უსახკარო მოქალაქეებიის დახმარების პროგრამა (მუხლი 7)	**490,0**
მთლიანი ერთჯერადი დახმარებები	**1754,6**
მარტოხელა მშობელთა დახმარება (მუხლი 2)	10,0
მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება; (მუხლი 1)	670
ასი წლის და მეტი ასაკის უხუცეს დღეგრძელთა დახმარება; (მუხლი 6)	2,0
შშმ პირების ფინანსური დახმარება; (მუხლი 16)	100,0
სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება (მუხლი 18)	2.0
მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯების დაფინანსება; (მუხლი 9)	8,0
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება (მუხლი 8)	40,0

2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება; (მუხლი 15)	4,0
ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება; (მუხლი 11)	13,8
სტუდენტების დახმარება; (მუხლი 3)	40,0
მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება (მუხლი 25)	60,0
ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში; (მუხლი 17 პუნქტი 2, 3) (მათ შორის 33,2 ათასი ლარი სარეზერვო ფონდიდან)	80,0
ახალდაქორწინებული ოჯახების წახალისება, (მუხლი 28.)	30,0
აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (მუხლი 24.)	180,0
დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება (მუხლი 12)	120,0
დედ-მამით ობოლ ბავშვთა ფინანსური დახმარება; (მუხლი 4)	24.0
ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით , დიაბეტით დაავადებულ და დაუნის სინდრომის ბავშვთა ფინანსური დახმარება. (მუხლი 13)	75,0
ყოველთვიური დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში; (მუხლი 17. 1, პუნქ)	25,0
ბავშვის უფლებების და მხარდაჭერის პროგრამა; (მუხლი 29.)	10,0
მუხლი 30. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლო პირთათვის სპეციალური ტექნიკის შეძენა	2,0
წითელი ჯვრის თანადაფინანსება (სუბსიდიის სახით) (57 000 ლარი) (მუხლი 26)	57,0
სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ბინის ქირის გადასახადი . მუხლი 19	21,0

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმპ ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები (მუხლი 23)	4,0
სამკერვალო საწარმო "გვირილა" -ში დასაქმებულ შშმ ქალების დახმარება ტრანსპორტირების კუთხით. (მუხლი 21)	3,0
18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. (სუბსიდიის სახით) (მუხლი 20)	13,3
სხვადასხვა სოციალურ კულტურულ-ღონისძიებების ხარჯები (მუხლი 22)	0,5
უდედმამო ბავშვებისთვის, სოციალურად დაუცველი: (შშმ პირებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალშვილიანებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის) და სხვა შეჭირვებული ოჯახებისთვის სააღდგომოდ და საახალწლოდ ერთჯერადი დახმარება;	60,0
მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მცირეწლოვან ბავშვთა და მოქალაქეთა მკურნალობის დაფინანსება მუხლი 31	100,0

მერაბ უღრელიძე - მოგეხენებათ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს მიერ წარდგენილ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნა მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის 2025 წლის მიზნობრივ სოციალურ პროგრამაში განხორციელდა სოციალური პროგრამის 2025 წლის ბიუჯეტში მე-13 მუხლის, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დიაბეტით დაავადებულ და დაუნის სინდრომის ბავშვთა 18 წლამდე ფინანსური დახმარება ნაცვალდ 50 ლარისა განისაზღვრა 100 ლარის ოდენობით.

კომისიის წევრებმა მოიწონეს ზემოაღნიშნული.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23(ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XVII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ერ. მანჯგალაძის სახ. კულტურის ცენტრი"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 537. 00 ათ. ლარია, საკუთარი შემოსავლები - 21.10. ათ. ლარი. სულ 558.10 ათ. ლარი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XVIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის .,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საფრენბურთო კლუბი ,,ჯიკო"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 160.0 ათ. ლარს. საკუთარი შემოსავალი 70, 0 ათ. ლარს ,სულ 230,0 ათ. ლარი.გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 20 000 ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელა ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XIX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 342.00 ათ. ლარს. წინა წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 23,20 ლარით. კერძოდ, შრომის ანაზღაურება გაზრდილია 22,9ათ. ლარით, საქონელი და მომსახურება 0,3 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი"-ს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ვიგებთ, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 162.00 ათ. ლარს. სულ 162.00 ათ. ლარი. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზარდა 7600 ათ. ლარით. შრომის ანაზღაურება გაიზარდა 7500 ლარით, საქონელი მომსახურება 0,1 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XXI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ვიგებთ, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 351,20 ათ. ლარს. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაიზარდა 28,80 ათ. ლარით. შრომის ანაზღაურება 13,7 ათ. ლარით. საქონელი და მომსახურება 15,1 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XXII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო

არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირის ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი.საიდანა ირკვევა, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 255,00 ათ. ლარს. საკუთარი შემოსავლები 65, 00 ათ. ლარი. სულ 320, 00 ათ. ლარი. შრომის ანაზღაურება 83.80 ათ. ლარი.

მერაბ უღრელიძე - როგორც მოგეხსენებათ, ა.(ა)ი.პ. ,,რაგბის კლუბი- ფენიქსი“-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დანართიN 5-ში (ხელშეკრულებით აყვანილ სპორტსმენთა ანაზღაურება) იყო უზუსტობა.

ზემოაღნიშნული საკითხი დაზუსტდა ა.(ა)ი.პ. ,,რაგბის კლუბი- ფენიქსი“-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დანართ N 5-ში ხელშეკრულებით აყვანილ სპორტსმენთა ანაზღაურება.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XXIII საკითხთან მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება შ.პ.ს. სპორტ-კომპლექსი ,,სამტრედიას“ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 765.00 ათ. ლარს. სულ ჯამი 875,00 ათ. ლარი.

გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაიზარდა 55,00 ათ. ლარით. შრომის ანაზღაურება 20,6 ათ. ლარით. საქონელი და მომსახურება 34,9 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XXIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი ,,სახლი თანადგომა "-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ვიგებთ, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 361.0 ათ. ლარს. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 16,5 ათ. ლარით. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 13,8 ათ. ლარით. საქონელი და მომსახურება 2,9 ათ. ლარით. არაფინანსური აქტივების ზრდა 0,2

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XXV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სათნოების სახლი"-ს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. საიდანაც ვიგებთ, რომ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 240,0 ათ. ლარს. საკუთარი შემოსავლები (14 ბენეფიციარი) 58,4 ათ. ლარი. სულ ჯამი 298,4 ათ. ლარი. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაიზარდა 23,5 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში

განსახილველად.

დღის წესრიგის XXVI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2025 წლის პროგნოზით სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 25,619.4 ათას ლარს შეადგენს. 2024 წლის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2025 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 3,582.3 ათასი ლარით (16.26%-ით).

2025 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 22,519.4 ათასი ლარით;

  2024 წლის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 17.1%-ით (3,282.3 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3,100.0 ათას ლარს;

  2024 წლის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 10.7%-ით (300,0 ათასი ლარით) იზრდება.

2025 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 269.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 550.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - პროცენტები 250.0 ათასი ლარი.

    2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 29.8%-ით (105.9 ათასი ლარით) მცირდება.

  - რენტა 300.0 ათასი ლარი;

    2024 წლის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით რენტა 25.0%-ით (60,0 ათასი ლარით) იზრდება. ზრდა გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიების ოდენობით.

- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 220.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - სანებართვო მოსაკრებლები 20.0 ათასი ლარი;
  - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 180.0 ათასი ლარი;
  - შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 20.0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 490.0 ათასი ლარის** ოდენობით.

- **ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე** - 60.0 ათასი ლარის ოდენობით.

2025 წელს არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 976.4 მლნ ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა წინა წარდგენასთან შედარებით იზრდება 206.8 ათასი ლარით და შეადგენს 28,185.3 ათას ლარს (2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 2,297.9 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია შემდეგი ძირითადი ფაქტორით: საგადასახადო შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით წინა წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით დაფინანსება გაზრდილია 411.8 ათასი ლარით და შეადგენს 4,512.5 ათას ლარს, მათ შორის:**
  - **გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება** - 1,565.0 ათასი ლარი;

    განხორციელდება გზების კაპიტალური შეკეთება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდინარეების კალაპოტების გაწმენდა, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, ბოგირების, ცხაურების და ხიდების მოწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მოხრეშვები, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები. აგრეთვე, განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.
  - **ბინათმშენებლობა** - 1,656.0 ათასი ლარი;

    მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ საერთო სარგებლობის ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავი მთლიანად აზიანებს ჭერს და მაღალ სართულებზე განთავსებულ ბინებს. აქედან გამომდინარე, ქ.სამტრედიაში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსები ფასადების, სადარბაზოების, სარდაფების, სახურავებისა და შიდა კომუნიკაციების რეაბილიტაციას საჭიროებს.
  - **წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** - 100.0 ათასი ლარი;

    განხორციელდება სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, მოწყობა-მომსახურება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (მაღალმთიან ზონაში) არსებული წყლის სისტემები მოითხოვს რეაბილიტაციას და ასევე უნდა მოეწყოს ახლი სისტემები. სასმელი წყლის რეზერვუარები გამოსულია მწყობრიდან, საჭიროებს აღდგენას.
  - **გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 820.0 ათასი ლარი;**

    დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის განათების მომსახურება და საახალწლო-საშობაო ღონისძიებებისათვის ქუჩების დეკორატიული განათებების შეძენა, ასევე არსებული განათებების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა.
  - **საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 7.0 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების დამზადება, აგრეთვე ქვეპროგრამა ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზებას, საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის ან აქტის შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას.

- **სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები - 210.0 ათასი ლარი.** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების განახლება, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ტრენაჟორებისა და ატრაქციონების მოწყობა, რომელიც გააუმჯობესებს ქალაქის იერსახესა და შეუქმნის მოსახლეობას დასვენებისთვის კომფორტულ პირობებს.
- **სოფლის მეურნეობის განვითარება** - 154.5 ათასი ლარი.

Ø **დასუფთავება და გარემოს დაცვის მიმართულებით წინა წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით დაფინანსება შემცირებულია 209.4 ათასი ლარით, ხოლო წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 95.9 ათასი ლარით და შეადგენს 3,484.6 ათას ლარს, მათ შორის:**

- **ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება - 2,570.0 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების დაგვა-დასუფთავება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან და მისი გატანა, აგრეთვე, სანიაღვრე და საწრეტი არხების დანალექებისაგან გაწმენდა-გატანა, გარე განათების ქსელების მომსახურება.

- **ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება - 814.6 ათასი ლარი**

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესება არსებული სკვერების, პარკების კეთილმოწყობით, სანერგე მეურნეობის მოწყობა-ექსპლოატაციით, მწვანე ნარგავების მოვლით. აგრეთვე, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება პარკების სანიტარული დაცვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, პანთეონების და სასაფლაოების ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება.

- **დასუფთავება - 100.0 ათასი ლარი;**

დასუფთავების ღონისძიებები - სამტრედიის მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადებების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

Ø **განათლების მიმართულებით წინა წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით დაფინანსება გაზრდილია 630.7 ათასი ლარით და შეადგენს 5,030.0 ათას ლარს, მათ შორის:**

- **ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანება - 4,480.0 ათასი ლარი;**

2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით თანხები გაზრდილია 440.7 ათასი ლარით (10.9%). დამატებით გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებულია საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების 100 ლარიანი ზრდით.

- **დაწყებითი ზოგადი განათლება**

აღნიშნული წარმოადგენს დელეგირებულ ულებამოსილებას და ამ პროგრამის

ფარგლებში განხორციელდება მოსწავლეების გადაყვანა და სკოლების მცირე რეაბილიტაცია.

- **ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი - 330.0 ათასი ლარი;**

2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით თანხები გაზრდილია 30.0 ათასი ლარით (10.0%), რაც გამოწვეულია მომუშავეთა ხელფასების მატებითა და მიმდინარე ხარჯების გაზრდით.

- **სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა - 220.0 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას და სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

Ø **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულებით წინა წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით დაფინანსება გაზრდილია 242.1 ათასი ლარით, ხოლო წინა წარგენასთან შედარებით გაზრდილია 11.4 ათასი ლარით და შეადგენს 4,911.8 ათას ლარს, მათ შორის:**

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2,639.0ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, განხორციელდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 1,461.5 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

- **შპს „სამტრედიის მაცნე“ - 117.8 ათასი ლარი;**

იგი ერთადერთი გაზეთია, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას. შპს ” სამტრედიის მაცნე ” მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე მიწოდება, ამავე დროს უზრუნველყოფს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას. გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ ორიენტირებულია გამოხატოს საზოგადოებრივი ინტერესი, გააშუქოს საზოგადოების საჭირბოროტო საკითხები, იყოს ობიექტური და მკითხველამდე სწორად მიიტანოს არსებული მდგომარეობა.

- **ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი - 65.5 ათასი ლარი;**

საინფორმაციო ცენტრის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რისთვისაც შექმნილია საინფორმაციო ყუთი და ცხელი ხაზი. მის მიერ შექმნილ ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.samtredia.com.ge) განთავსებულია ინფორმაცია

მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების შესახებ, ასევე, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, პერმანენტულად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები. მისი მიზანია ურთიერთობა ახალგაზრდებთან და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს სოციალურ პროექტებს.

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება - 218.0 ათასი ლარი;**

  პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით წინა წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით დაფინანსება გაზრდილია 935.9 ათასი ლარით და შეადგენს 3,927.1 ათას ლარს, მათ შორის:**

  - **საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები - 635.5 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; ასევე, განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

  - **სოციალური პროგრამები - 3,291.6 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:**
    - ააიპ „სახლი თანადგომა“ – 361.0 ათასი ლარი;
    - ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ – 240.0 ათასი ლარი;
    - დედათა და ბავშვთა დახმარება - 440.0 ათასი ლარი;
    - სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები - 1,754.6 ათასი ლარი;
    - დაკრძალვის ხარჯი - 6.0 ათასი ლარი;

ასევე, გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეებიის დახმარება - 490.0 ათასი ლარის ოდენობით.

2025 წლის ბიუჯეტის პირველ წარდგენასთან შედარებით იზრდება:

- დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება 50 ლარიდან 100 ლარამდე;
- დიაბეტით დაავადებულ ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარება 50 ლარიდან 100 ლარამდე;

- **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 6,319.3 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - საკრებულოს დაფინანსება - 1,336.6 ათასი ლარი;
  - მერია - 4,636.6 ათასი ლარი;
  - სარეზერვო ფონდი - 200.0 ათასი ლარი;

- ü კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი - 45.0 ათასი ლარი;
- ü მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურეობა - 101.1 ათასი ლარი, მათ შორის ძირი 70.1 ათასი ლარი და პროცენტი - 31.0 ათასი ლარი.

2022 წელს საჯარო მოხელეთა ანაზღაურების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად 2025 წელს გათვალისწინებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა ანაზღაურების 10%-იანი ზრდა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

Ø საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6,249.2 ათასი ლარი;
Ø ეკონომიკური საქმიანობა - 1,726.5 ათასი ლარი;
Ø გარემოს დაცვა - 3,484.6 ათასი ლარი;
Ø საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 2,786.0 ათასი ლარი;
Ø ჯანმრთელობის დაცვა - 635.5 ათასი ლარი;
Ø დასვენება, კულტურა და რელიგია - 4,911.8 ათასი ლარი;
Ø განათლება - 5,030.0 ათასი ლარი;
Ø სოციალური დაცვა - 3,291.6 ათასი ლარი;

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2025-2028 წლები);
2. ინფორმაცია 2024 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
4. ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
5. ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
6. ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
7. პროგრამული ბიუჯეტის დანართი;
8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებები.

ა.დ) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია 2025 წლის 1 იანვრიდან.

ა.ვ) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2025 წლის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის.

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

გ) დადგენილების ავტორი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

დ) დადგენილების ინიციატორი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად გაერთიანებული კომისიიების წევრთა 23 (სმით) მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში

განსახილველად.

სხდომის მდივანი: / ლია ყურულაშვილი/

მერაბ უღრელიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო საკითხთა
კომისია-საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი